საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№148 (6373) 11 დეკემბერი სამშაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, მრგვალი მაგიდის ადგილობრივ ორგანიზაციებს, დეპუტატთა რაიონულ კომისიებს

როგორც რძის მრეწველობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება გვაუწყებს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკას შეუმცირდა მშრალი რძის ფხვნილის მოწოდება, რის გამოც ქ. თბილისსა და სამრეწველო ცენტრებში შეიქმნა მწვავე დეფიციტი მოსახლეობის რძის პროდუქტებით მომარაგებაში.

ასეთი მწვავე დეფიციტი გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ რესპუბლიკის რაიონები არ ასრულებენ მთავრობის დავალებას ნატურალური რძის ნედლეულის საწარმოებში ჩაბარების შესახებ ამასთან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში შეიმჩნევა როგორც მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, ასევე საიჯარო ორგანიზაციების მიერ რძის რესურსების განიავებისა და ყოველგვარი განრიგის გარეშე პროდუქციის გაცემის ტენდენცია.

ყოველივე ეს შეიძლება ჩაითვალოს წინასწარგანზრახულ საბოტაჟად ახალი პარლამენტისა და ხელისუფლების მიმართ, ხალხის ინტერესების საზიანოდ.

მოვითხოვთ, ამ საქმეში სტაბილურობის მიღწევის მიზნით დეტალურად დაადგინოთ მეურნეობებში ნედლეული რესურსების რეალური რაოდენობა, მიიღოთ კონკრეტული ზომები მათი ჩაბარებისათვის და გვაცნობოთ იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებშიც გამოვლინდება რესურსების განიავების შემთხვევები.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

### მუშაკაცი

## ხალხმა თქვა, რომ...

შეუვალი სიმტკიცით, თითქოს მთლიანად შეთვისებული, მაინც უნაპირო სილამაზით ერთბაშად გიმორჩილებს ლეჩხუმის ბუნება. არა მგონია მასთან შეზრდილ კაცს ეადვილებოდეს მისგან განზე განდგომა, მაგრამ ისიც ხომ რეალურია, რომ მშობლიური ფუძისაკენ მიმავალ ბილიკებს ხავსი მოძალებია. არაერთხელ ამ ბილიკებიდან სულით შორს მყოფთ თანამედროვე კომფორტის სიმყუდროვეში მიგრაციის მიზეზები უკვლევიათ. ამასობაში კი ის სასიცოცხლო ძარღვი—გლეხობა, სოფლის ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი—დაშრეტილა, ქართული სოფლის საზრუნავიც ადვილად დასათვლელ კომლთა მოსავლელი გამხდარა, მათი მეოხებით კი ვაზს ერთგული მეზვრე და ყანას გამრჯე მეურნე დაპატრონებია, სოფლის გზაც საშვილიშვილოდ უკეთებიათ. სოფელიც, ავის და კარგის უტყუარი შემფასებელი, ადვილად ამჩნევს გულერთგულ თანამოძმეებს. სწორედ ხალხი ამბობს, რომ ჭალისთაველი ჯემალ კოპალიანი თავდადებული შრომით, კარგად გარჯილი საქმით გამორჩეული კაცია.

ორ ათეულ წელზე მეტია ჯემალი საგზაო სამმართველოში შრომობს. მთიანი რაიონისათვის ყველაზე ძნელ უბანს—გზის მშენებლობას ემსახურება. მძიმე სამუშაო აქვს, ბულდოზერის მძღოლია. არაერთხელ ყოფილა, გზის კაპიტალურ მშენებლობაზე მომუშავეს „გრეიდერის“ საჭესთან, მშობლიური სახლისაგან კილომეტრებით დაშორებულს, მხოლოდ გამთენიისას დაუსრულებია სამუშაო.

განსაკუთრებით ბოლო წლებში გაუორმაგდათ გზის მშენებლებს სიზრუნავი. სტიქიამ მოულოდნელად ათობით კილომეტრი გზა დააზიანა. გზაფხულზე ჩამოწოლილი ზვავები ერთხელ აღდგენილ გზას ისევ თავიდან აღსადგენს, ძირეულად შესაკეთებელს ხდიდა, ჯემალიც ხშირად, 10--საათიანი სამუშაო დროის მანძილზე, ქვა-ღორღისაგან წმენდს სამანქანო გზის მონაკვეთებს. და ეს ხდება ნებისმიერ ამინდში — გზაფხულის უხვი წვიმების თუ ზაფხულის ხვატში, შრომობს მანამ, სანამ არ ირწმუნებს, რომ გზა მოსახლეობას შეუფერხებლად მოემსახურება.

როგორც ლეჩხუმის ყველა სოფელში კერადამკვიდრებულ ოჯახს, კოპალიანებსაც საკუთარი მეურნეობა აქვთ, სადაც ვაზიც ხარობს, ხილიც ბლომადაა და სიმინდის ყანასაც მამა-პაპისეული ჩვეულებით უვლიან. საკუთარი ნაშრომ-ნაამაგარით გაზარდეს შვილები. მაყვალა და მამუკა სტუდენტები არიან, როზამ საკუთარი ოჯახი შექმნა. სამივენი ბუნებისაგან ნაბოძები ნიჭით მამულის უკეთესი მომავლის მსახურები არიან.

ოჯახის მამას კი დილაადრიან „გრეიდერის“ საჭესთან იპოვით, მიეჩქარება სამუშაოდ ამ უჩვეულოდ მიხვეულ-მოხვეულ, ამაყი მთების მკერდზე გამავალი გზისაკენ, საითკენაც ყოველდღიურად მოემართებიან ლეჩხუმის მკვიდრნი თუ სტუმარნი. ამ გზით ხომ ბევრი მათგანის მშობლიური ფუძისაკენ მიმავალი ბილიკებიც იწყება...

**ნ. ცხვედიანი.**

## საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

7 დეკემბერს თბილისში მუშაობა განაახლა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობამ. 7 თვეში, ყრილობის განვლილი პირველი ეტაპის შემდეგ მისი 61 დელეგატი სხვადასხვა მიზეზების გამო კომუნისტური პარტიის რიგებიდან გავიდა. სამანდატო კომისიის წინადადებით ყრილობამ მათი მანდატები გააუქმა, ამრიგად, ყრილობის დელეგატთა რიცხვი 666-ს შეადგენდა, რომელთაგან 431 ესწრებოდა.

ყრილობის მეორე ეტაპის დაწყების წინ განცხადებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცეხტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, რომელმაც დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა.

ყრილობამ დაკმაყოფილა ეს თხოვნა.

დელეგატებმა და ყრილობაზე მოწვეულებმა პატივი მიაგეს ორი წლის წინათ სომხეთში მიწისძვრის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

მუშაობის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე კანდიდატებად დაასახელეს: ჟიული შარტავა, ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, როინ მეტრეველი, ავთანდილ საყვარელიძე, გივი გუმბარიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი.

თვითაცილებისა და განხილვის შედეგად ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენში შეიტანეს ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, ავთანდილ საყვარელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია 45 წლის ინჟინერ-ტექნოლოგი, პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, გარდაბნის რაისაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ავთანდილ მარგიანი.

**საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.**

### კოოპერაციაზე: მიზნები, პერსპექტივები

## „გუმარეშის“ პირველი ნაბიჯები

დღეს, როცა ასე მწვავედ განვიცდით ეკონომიკურ კრიზისს, თუმცა, რაღას კრიზისს არ განვიცდით, მაგრამ იმას, რასაც ჩვენითვე მოვევლება, ჩვენი რესურსების გამოყენება უშველის და მხოლოდ აზროვნება და განძრევა უნდა, არ უნდა დავიზაროთ, უნდა გვწამდეს, რომ ამით დიდ სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა 1988 წლის დეკემბერში რეგისტრაციაში გაატარა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის კოოპერატივი „გუმარეში“. რეგისტრაციის შემდეგ, სრულ დაფუძნებამდე, ბევრი წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო კოოპერატივმა. მეღორეობის ფერმის ძველი შენობა გაარემონტეს, გუმარეშის ამ ჭაობიან ადგილზე ეზო მოაწესრიგეს, წყლის საწრეტი არხები ჩააწყვეს. თავდაპირველად კოოპერატივს სამოქმედოდ 4 ჰექტარი მიწა გამოეყო, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობამ უკან დაახევინათ და ამჟამად 1,5 ჰექტარი მიწაა კოოპერატორთა განკარგულებაში. შეიძინეს ღორები, მსხვილფეხა პირუტყვი და კოოპერატივმა ფუნქციონირება შარშან აპრილში დაიწყო. კოოპერატივის გამოცდილებაზე, მომავალ მიზნებსა და ამოცანებზე გვესაუბრება კოოპერატივ „გუმარეშის“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბენდელიანი:**

სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება მაქვს. გადავწყვიტე მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელი კოოპერატივი შეგვექმნა. კოოპერატივში ჯერჯერობით 3 წევრია გაერთიანებული, 5 კაცი კი ხელშეკრულებითაა აყვანილი. სულ 200 სული ღორი და 20 ფური გვყავს, აქედან 4 ფური მეწველია, გასულ სამეურნეო წელს ვაწარმოეთ 170 ცენტნერი ხორცი, სახელმწიფოს კი 150 ცენტნერი მივყიდეთ. მიმდინარე წელს რეალიზებულია 130 ცენტნერი ხორცი, აქედან სახელმწიფოს 11 ცენტნერი ხორცი მივყიდეთ, წლის დამლევამდე კი 20 ცენტნერს კიდევ მივყიდით.

გარდა ღორისა და მსხვილფეხა პირუტყვისა მიმდინარე წელს იხვი და ქათამი გვყავდა, რომლის რეალიზაციით მიღებულია 4200 მანეთი შემოსავალი. მომავალი წლიდან ვფიქრობთ 5000 ფრთა ქათამი გამოვზარდოთ. მარტში შემოვიყვანთ „სერებრიაკის“ ჯიშის ერთდღიან წიწილებს.

გარდა ამისა სამომავლოდ გეგმაში გვაქვს ავაშენოთ ძეხვის საამქრო, მუშათა სასადილო და პროდუქტების სარეალიზაციო კიოსკი. ყოველივე ეს მარტო დაპირება კი არაა, რეალობად იქცევა, მაგრამ სიძნელეები გვეღობება წინ კოოპერატივის ამ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის, სამოქმედოდ და საასპარეზოდ აუცილებლად სჭირდება 10 ჰექტარამდე მიწის ფართობი.

* * *

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და აზრთა სხვადასხვაობაა კოოპერატივებზე, მართლაც, რად გვინდა ისეთი კოოპარატივი, რომელიც ამამულო წარმოების 60 მანეთიან ტყავის ქურთუკს 200 მანეთად ყიდის, სპეკულაციას ეწევა, რყვნის და გადაგვარებს ადამიანის სულსაც და გულსაც. მწარმოებლური კოოპერატივები კი ნამდვილად გვჭირდება.

## ქრონიკა, ინფორმაცია

**8 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში მოეწყო შეხვედრა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომა გენელ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებს შორის, რაც გამოწვეული იყო საქართველოში შექმნილი დაძაბული სიტუაციით. მხარეები შეთანხმდნენ შეიქმნას საქართველოში არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების საკითხის შემსწავლელი კომისია.**

**ამასთან დაკავშირებით შიმშილობა შეწყვიტეს „საქართველოს მხედრიონმა“ და წმინდა ილია მართლის საზოგადობის თბილისის ორგანიზაციამ.**

# საქართველო-აზერბაიჯანი: ღრმავდება თანამშრომლობა

6 დეკემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ. სიგუა. ბაქოში იგი შეხვდა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჰასანოვს.

გაიმართა მოლაპარაკება, რომლის შედეგად დაიდო სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბატონმა თენგიზ სიგუამ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ესოდენ მასშტაბური ხელშეკრულების დადება ახალ იმპულსს მისცემს ჩვენს ტრადიციულ მეგობრულ, ძმურ ურთიერთობებს. ვიმედოვნებთ, რომ ჰორიზონტალური კავშირების გაფართოება კარგ ნაყოფს გამოიღებს და ორივე რესპუბლიკის ეკონომიკა უფრო ინტენსიურად განვითარდება. განზრახული გვაქვს ორმხრივი მოღვაწეობის გაფართოება ჰუმანიტარულ დარგშიც.

რადიკალური გარდაქმნები აჩქარებენ დროს, თითქოს უფრო სწრაფად გარბიან დღეები. იმსხვრევა ძველი სტერეოტიპები. ჩვენი ცხოვრების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია ფართო ასპარეზს ქმნიან მოქმედებისათვის.

დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა, როცა დიდი და პატარა იღვწის საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ვალია აქტიური გავხადოთ მოზარდ ახალგაზრდობასთან მუშაობა.

ცხოვრების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია, საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული მოძრაობა ერთის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესების განახლება-სრულყოფას, აფართოებენ მოზარდთა ინიციატივასა და შემოქმედებით საქმიანობას, მეორეს მხრივ, მოზარდთა ერთ ნაწილში ღონისძიებების მრავალფეროვნებამ გამოიწვია დაძაბულობა, გაღიზიანება, ზოგი ტოვებდა გაკვეთილებს, მონაწილეობდა მიტინგებში, სხვადასხვა აქციებში. ამან კი გამოიწვია პროგრამული მასალის აუთვისებლობა, არადა მოზარდის უპირველესი მოვალეობა ხომ სწავლაა. ახლა, როცა არჩეულია რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა, ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება, სკოლების, შუბლების, შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის, არასრულწლოვანთა კომისიების და მთელი საზოგადოებრიობის ვალია არსებითად გარდაქმნან აღსაზრდელებთან მუშაობა.

უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივი ძალების გააქტიურებასთან ერთად იზრდება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედების რაოდენობა. ცნობილი დებულებაა, რომ დამნაშავეებად არ იბადებიან. ასეთებად მოზარდებს აქცევს გარემომცველი სამყარო, აც ის არის დასამალი, რომ ჩვენი დღევანდელი ყოფა მოუწყობელია და ქმნის საამისო პირობებს.

მეორე სფერო, სადაც ხდება ყმაწვილის სულის წვრთნა, ეს არის სასკოლო ცხოვრება. სკოლა გადამწყვეტ როლს ასრულებს მოზარდი თაობის სწორ აღზრდაში. რაიონის ბევრი სკოლა კარგად ართმევს თავს ამ დიდ

აღზრდის თემაზე

# ვისაც საქართველოს გედი აღელვებს

მოვალეობას. მაგრამ ზოგიერთ სკოლაში სუსტია კონტაქტი მშობლებთან, მეურვეებთან, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციასთან, რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების არასრულწლოვანთა კომისიებთან. დასამალი არ არის და ფაქტია, რომ პედაგოგების ბავშვებზე ზემოქმედება შესუსტდა. ბავშვი პედაგოგში ვეღარ ხედავს ყოვლისმცოდნე პიროვნებას, იმიტომ, რომ დღევანდელ ბავშვს აქვს ბევრი ტექნიკური საშუალება, რომ მოფლიოს ცხოვრებას გაეცნოს, ამიტომ მასწავლებელი უნდა იყოს დიდად მცოდნე, შესწევდეს უნარი სწავლება კარგად დაუკავშიროს აღზრდას.

მესამე სფერო, სადაც ბავშვს უწევს ყოფნა, ეს არის ქუჩა, თანატოლთა საზოგადოება, რომელიც დიდ ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. მოზარდს მშობლების, პედაგოგების საზოგადოებრიობის სისტემატური მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება, თორემ ქუჩა მზადაა გამოგეტაცოს ახალგაზრდა, აცდინოს სწორ გზას და გახდეს ძნელადაღსაზრდელი, დამნაშავეც კი.

ძნელად აღსაზრდელი ბავშვები ფაქტობრივად პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვები არიან. ისინი ექცევიან ზნეობრივად არასაიმედო ადამიანების გავლენის ქვეშ. თავდაპირველად აღვეკვეს ქცევის საზოგადოებრივ ნორმებს, შემდეგ კი დანაშაულს ჩადიან.

ბავშვის აღზრდა ოჯახიდან იწყება. ბავშვი ოჯახიდან ქუჩაში გამოდის და სკოლაში მიდის. ოჯახი, ქუჩა და სკოლა—ი სად წყდება მოზარდის ბედი. ბავშვებთან ქცევის სისწორეზე, აღზრდის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების მიზნობრივად გამოყენებაზეა ძირითადად დამოკიდებული მათი შეგნებული, სამშობლოს მოყვარულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

რაიონის სკოლების დირექციების, მშობელთა კომიტეტების უმრავლესობა, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექცია და ზოგიერთი არასრულწლოვანთა კომისია ატარებს აღმზრდელობით ღონისძიებებს. ამის შედეგია, რომ შემცირდა არასრულწლოვანთა მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაული, წელს ასეთი მხოლოდ ერთი მოხდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლები და ბავშვთა აღზრდის სხვა დაწესებულებები თვითდამშვიდებას მიეცენ.

საერთოდ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება [illegible] და მათ შორის არასრულწლოვანებზე [illegible] რაიონში გვხვდება არასრულწლოვნების მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტები. მიმდინარე წლის 11 თვეში შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მიერ გამოვლენილია 48 ახალგაზრდა, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ ქუჩებში, ეწეოდნენ სიგარეტს, ზოგი მათგანი ეტანება სპირტიან სასმელებს.

დღეს ძალზე ძნელია ელაპარაკო მოზარდს აღზრდაზე, დაინტერესო და სწორი გეზი მისცე მას, მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა, სკოლებში ბევრი რამ კეთდება მოსწავლე ახალგაზრდობის სწორი ფორმირებისათვის.

ბავშვებს ჰარმონიულად ვერც ოჯახი და ვერც სკოლა ვერ აღზრდის, თუ აღზრდის პროცესში ერთმანეთს არ ეწყმის საზოგადოება, სკოლა და ოჯახი. ქუჩაში, სადაც მოზარდს საკმაო დროით უხდება ყოფნა, თითოეულ ადამიანს შეუძლია მიუთითოს მას და აცდინოს იგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

გზას აცდენილ ახალგაზრდას უნდა მოფრთხილება, ტაქტიანი, პედაგოგიური მიდგომა, გულისხმიერი დამოკიდებულება, სწორი გზა უნდა ვუჩვენოთ მათ. და არ მივიყვანოთ სამართალდარღვევამდე.

ვისაც საქართველოს ბედი აღელვებს, უპირველესად სკოლის, მოსწავლის ინტერესებზე უნდა ფიქრობდეს. უნდა სწამდეს, რომ ჩვენს სკოლებში საქართველოს ხვალინდელი პატრონი იზრდება, რომელმაც ღრმა ცოდნა უნდა შეიძინოს და სწავლის პროცესში პატიოსან მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

**ვლ. დავითუღიანი.**

ლეჩხუმის ციხეები და სალოცავები

## უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია

ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის, ჯონოულას ხეობაში მდებარეობს სოფელი ჩქუმი. მის დასავლეთით, მთის პლატოზე, დგას უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია. მისკენ მიმავალ კლდოვან საურმე გზას ბზის ხეების რიგი მიუყვება. ამ მიდამოებს ნამარხევს (ნავანებს) ეძახიან.

ხუთწახნაგა შვერილაფსიდიანი, დიდი ზომის ეკლესია მოყვითალო შირიმით არის აგებული. კედლების თბილი ფერადოვნება კარგად ეხამება გარემოს. შიგნით ყორე ქვაა გამოყენებული, მხოლოდ კონსტრუქციულ ადგილებშია ნახმარი შირიმი. წახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველში სამი სარკმელია. დანარჩენ სამ კედელში თითო სარკმელი ღა კარია. ეკლესია შიგნით შელესილი და მოხატული ყოფილა. დღეს ბათქაში მთლად ჩამოცვენილია.

ფასადების წყობა სუფთად არის შესრულებული. ნაგებობას ირგვლივ შემოუყვება პროფილირებული კარნიზი. ეკლესიის დასავლეთით კედლის შუა ღერძზე განლაგებულია კარი, სარკმელი, მის თავზე მომრგვალებულკავებიანი ჯვარი და სულ ზემოთ კეხთან, ვერძის თავი. ამ შესასვლელის ტიმპანიც მოხატული ყოფილა, ფერები გაცრეცილია და გამოსახულება არ გაირჩევა. კარსა და სარკმელს შორის კედელში ქვიშაქვის ათსტრიქონიანი მხედრულწარწერიანი ფილაა ჩასმული, საიდანაც ვგებულობთ, რომ უდაბნოს ნათლისმცემლის ეკლესია აუგია დიდი თავადის, გენერალ-მაიორისა და კავალერის ზურაბ წერეთლის ასულს—დედოფალ მართას, თავისი მეუღლის—გენერალ ლეიტენანტისა და მთავრის, ლეონ დადიანის, შვილებისა და საკუთარი სულის საოხად. 1822 წელს. სამხრეთის კარის თავზე მოთავსებულ ქვის ფილაზე იკითხება მხოლოდ „მეორისა ალექსანდრე პავლეს ძისა..“

მართალია წარწერის მიხედვით მონასტერი 1822 წელს დუმთავრებიათ, მაგრამ მანამდეც რომ ყოფილა აქ რაღაც ნაგებობა, ჩანს ისტორიული საბუთებიდან 1806, 1819, 1820 წლებისა. იქ მოხსენებულია საირმისა და ნამარნევის უდაბნოები, ნამარნევის მონასტრის მოძღვარი, მონასტრის ძმობა.

## ზამთარი დადგა, ხანძრის საშიშროება იზრდება

მიუხედავად იმისა, რომ ცაგერის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭო, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექცია გარკვეულ მუშაობას ვეწევით, წელს თერთმეტი თვის განმავლობაში რაიონში მაინც მოხდა ხანძრის 13 შემთხვევა და როგორც მოსახლეობის ნაწილს ასევე ორგანიზაციებს საკმაო მატერიალური ზარალი მიაყენა.

ხანძარი გაუჩნდა სოფელ ქორენიშში მცხოვრებ ლილი ანტონის ასული ხმელიძის, ლაცორიაში მცხოვრებ ტრიფონ უფლისას ძე ახვლედიანის, ზუბში—რაფიელ ესტატეს ძე ჩაკვეტაძის, აღვში—ოთარ კირილეს ძე ჩხეტიანის საცხოვრებელ სახლებს, მახაშის შერეულ და ორბელის ჩამოფასებული საქონლის მაღაზიებს.

უკვე ძალაში შევიდა ზამთრის თბობის სეზონი, ხანძრის გაჩენის მხრივ წლის საშიში პერიოდი. იზრდება ხანძრის გაჩენის საფრთხეც, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ თითოეული მოქალაქე მტკიცედ დავიცავთ ელემენტარულ ხანძარსაწინააღმდეგო წესებს.

ზამთარში ბინების, წარმოებადაწესებულებებისა და სხვა დანიშნულების ნაგებობათა გათბობა ჩვენი რაიონის პირობებში წარმოებს დროებითი თუნუქის ღუმელის გამოყენებით.

თუნუქის ღუმელები უნდა დაიდგას 25 სანტიმეტრ სიმაღლეზე ლითონის ფეხებზე, კვამლსადენის

## ასე ავიცილოგთ თავიდან

არა ნაკლები ერთი მეტრით, ხოლო კაპიტალური კედლიდან—50 სანტიმეტრით. დროებითი თუნუქის ღუმელის ქვეშ იატაკზე უნდა დაეფინოს თუნუქის ფურცელი, რომელიც გამოცილებული იქნება ღუმელის წინ 50 სანტიმეტრით, ხოლო გვერდებზე 25 სანტიმეტრით, თუ კვამლსადენი შენობის კედელში არ არის გაკეთებული, როგორც გამონაკლისი, კვამლსადენის მილი შეიძლება გატარებული იქნას კაპიტალურ კედელში, ან ფანჯრის ალათაში ჩასმულ თუნუქის ჭრილში. შენობის გარეთ მილი კედელს უნდა გასცდეს 70 სანტიმეტრით მაინც, ხოლო სახურავს უნდა ასცილდეს არა ნაკლები ერთი მეტრით და ბოლოს თავზე უნდა გაუკეთდეს ნაპერწკალმჭერი.

თუნუქის ღუმელის კარები სისტემატურად დახურული უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ნაპერწკლების მოხვედრა იატაკზე, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას.

გახსოვდეთ, რომ კუსტარული თუნუქის ღუმელების გამოყენება, რომლის დახურება წარმოებს თხევადი სათბობით, განსაკუთრებით საშიშია და მისი გამოყენება აკრძალულია.

ნუ გაიჩაღებთ ღუმელს ადვილად აალებადი სითხეებით, ნუ დატოვებთ მეთვალყურეობის გარეშე ანთებულ ღუმელებს, ნავთქურებს, გაზქურებს და ელექტროგამახურებელ ხელსაწყოებს.

ნუ დატოვებთ ბავშვებს მეთვალყურეობის გარეშე, განსაკუთრებით იმ სათავსოებში, სადაც ანთებულია ღუმელი, ჩართულია ქსელში ელექტროგამახურებელი ხელსაწყოები.

გახსოვდეთ, ამ ელემენტარული წესების დაცვა სახალხო მეურნეობის ობიექტების და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დიდი გარანტიაა.

**ნ. ახვლედიანი,**
**ცაგერის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.**

# მ'ეკვიდლობისა და თანხმობის მიგნით

დღეს, როცა აღსრულდა ერის ნება და არჩეულ იქნა მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი, როცა ერი თანადგომას უცხადებს უზენაეს ხელისუფალთ, გრძელდება ერის შვილთა ხოცვა-ჟლეტა. ყოველდღიურად ტელევიზიითა და პრესით ვგებულობთ თავდასხმის, ძარცვისა და მკვლელობის შემთხვევებს, რაც ყველას გვაღელვებს.

ჩემში და ყველა კეთილ ნების ადამიანში გაკვირვებას იწვევს დაპირისპირება და წინააღმდეგობანი, რომელიც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეინიშნება.

წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია 8 დეკემბერს გამართული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენლების შეხვედრა, აქ ბევრი რამ გაირკვა და გამოიკვეთა, გაგვიჩნდა იმედი და ასეც უნდა იყოს—ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მხოლოდ და მხოლოდ ერის სასიკეთოდ. სავსებით სწორად მიმაჩნია უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენლების გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეიქმნას პარიტეტული კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფების კანონიერების საკითხს, მათ მოქმედებას. მისასალმებელია, რომ კომისია გამოავლენს დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ცალკეულ პიროვნებებს და გამოიყვანს მათ ხალხის სამსჯავროზე.

ჩემის აზრით, რესპუბლიკაში არსებული ყველა შეიარაღებული ორგანიზაცია უნდა დაემორჩილოს ხალხის მიერ არჩეულ ოფიციალურ მთავრობას.

გვეყოფა ამდენი დაობლებული პატარები, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ახალგაზრდები. მოვითხოვთ მუშაობა გააქტიურონ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა, უზრუნველყონ სიმშვიდის და ადამიანთა ცხოვრების ნორმალური პირობები.

ყველამ, ვისაც საქართველოსათვის გვიცემს გული, კეთილსინდისიერად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, დაუღალავად ვიბრძოლოთ იმ სანუკვარი მიზნისათვის, რასაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია.

**ვლ. გრიგოლიშვილი.**

# ვიყოთ გულმოწყალენი

**„ძვირფასო კოლეგებო!**

**გთხოვთ** გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაეხმაროთ უკიდურეს გასაჭირში მყოფ ახალგაზრდა პედაგოგს, რომლის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გასაგზავნად დიდძალი თანხაა საჭირო.

ჩვენი რაიონის კეთილშობილმა საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა თქვა და კვლავაც აგრძელებს ამ საქველმოქმედო საქმეს.

გიგზავნით გაზეთს პუბლიკაციით: „როცა სიცოცხლე საფრთხეშია“. გთხოვთ გადაიკითხოთ იგი და მსგავსი მოწოდებით მიმართოთ თქვენს მკითხველებს, ჩვენი სახელოვანი მთის შვილებს, ლელას ძმებსა და დებს... იქნებ გამოჩნდეს გზა ხსნისა და სიცოცხლის გადარჩენისა.

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს—71101, ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი. ლელა ჭელიძის ანგარიში.

უღრმესი პატივისცემით, იმედებით—

**გაზეთ „ჩოხატაურის“ მშრომელთა წერილების განყოფილება“.**

**ასეთი შინაარსის წერილი მიიღო რედაქციამ ამ დღეებში ჩოხატაურელი კოლეგებისაგან.**

**გადავწყვიტეთ სრულად შემოგვთავაზებინა თქვენთვის გაზეთ „ჩოხატაურში“ გამოქვეყნებული სტატია.**

## როცა სიცოცხლე საფრთხეშია

სიკეთე, ხელგაშლილობა, სათნოება—ქართველი ხალხის დამამშვენი თვისებები იყო მუდამ. ქრისტიანული მოძღვრებაც თავიდან ბოლომდე ამ თვისებებით ხასიათდება. იგი გვასწავლის, შთაგვაგონებს—ტკივილები, მწუხარება, ტანჯვა კი არ აბნელებს, არამედ ანათებს ადამიანის სულს და განსაცდელგამოტარებული პიროვნება უფრო და უფრო იწმინდება, მაღლდება... „სიკეთის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედო!“ — უთქვამს ჩვენს ბრძენ ხალხს...

მას არ ესწავლება სიუხვე, გულმოწყალება, სიდარბაისლე, გასაჭირში გაუტეხლობა.

დღეს საქველმოქმედო მამულიშვილურ საქმეთათვის მოგვიწოდებს მოძმეთა გასაჭირი. სხვა, შორეულ ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ დელეგაციები დაქცეული სპიტაკის, მთიანი აჭარისა და სვანეთის დასახმარებლად, გაოგნებულ ადამიანთა გასამხნევებლად ჩვენმა ხალხმაც არაერთხელ ისახელა თავი...

ამჯერად სულ სხვა სატკივარზე მოგახსენებთ.

ორ წელზე მეტია ჩვენი რაიონის ახალგაზრდა მასწავლებელი ლელა ჭელიძე ამაოდ შესცქერის იმედის თვალით თბილისელ, მოსკოველ თუ ლენინგრადელ ექიმებს... მას საშიში დიაგნოზი აქვს, რომელსაც საგულდაგულოდ უმალავდნენ, მაგრამ... „ჭირმა თავი არ დამალა...“ და-მას წმინდა ილია მართლის საზოგადოების ჩოხატაურის რეგიონალურმა განყოფილებამ აღუძრა შუამდგომლობა და ჩვენი რაიონის აგრომრეწვბანკში გახსნილია ანგარიში 71101, რომელსაც დიდი და საპატიო მისია აკისრია—ჩვენი რაიონის კეთილშობილი საზოგადოებისაგან შეგროვდეს თანხა, რომელიც ლელა ჭელიძის საზღვარგარეთ მკურნალობას და მისი სიცოცხლის გადარჩენას მოხმარდება.

ორიოდე წინადადებით გავაცნობთ მის პიროვნებას: მაღალმთიან სვანეთში დაიბადა 1960 წელს. მეწყერს, სიღარიბეს, უგზოობას გამოერიდა ოთხი შვილის მამა დავით ჭელიძე, აიყარა ოჯახი და მშვიდობიან ბარს მოაშურა. გურიაში მოძებნეს თავშესაფარი, სტუმართმოყვარე ნაგომარში გაუღეს მან გულისა და სახლის კარები. კალთით ჩამოიყვანა დედამ ბარში ჩალისფერთმიანი, ზღაპრის გოგონა. მეზობლებმა უმალ შეიყვარეს გამრჯე, პატიოსანი, დინჯი ცოლქმარი, მათი ზრდილი გოგონები. უფროსები ნაადრევად დაოჯახდნენ, გამრავლდნენ... ნაბოლარა შემორჩა ოჯახს. მისი ფრიადები დაენანათ პედაგოგებს და მშობლებს ურჩიეს:—ძალზე ნიჭიერი ბავშვია, ამან აუცილებლად უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს... 17-18 წლის გოგონას მასწავლებლის ჟურნალიც ანდეს, სიბეჯითემ, ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ იმარჯვა და ლელა დავითის ასულ ჭელიძის სახით ჩვენს რაიონს ერთი კარგი ისტორიკოსი შეემატა. აგერ ათ წელზე მეტია ამ საგანს ასწავლის იგი ერევნოს პროფტექნიკურ სასწავლებელში. კოლეგებს, სტუდენტებს, აღსაზრდელთა მშობლებს უყვართ იგი, აფასებენ მის კეთილშობილებას, ცოდნას, ტაქტს, პედაგოგისათვის აუცილებელ დამამშვენ თვისებებს.

- ლელას უყვარს ქალაკი, სპორტი, ლიტერატურა, ხელოვნება და ყველაფერი კარგი, რაც აუცილებელია მოზარდთა მრავალმხრივი ესთეტიკური თუ ფიზიკური აღზრდისათვის. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით აქაურ ახალგაზრდებს არაერთხელ უზეიმიათ გამარჯვება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში,—გონებამახვილთა და საზრიანთა პაექრობაში, სხვადასხვა კარნავალებსა თუ ვიქტორინებში, მაგრამ... სხვა იყო გუშინდელი - ლელა, სხვაა დღევანდელი...

მისი ღიმილი ვერაა იმ შუქით გამთბარი—სიყვარულსა და იმედებს რომ აშუქებდა...

მისი თვალები თითქოს გსაყვედურობენ—გააკეთეთ რაღაცა, იქნებ კიდევ დავრჩე ახალი საქართველოს შენებელთა რიგებში...

ლელამ უნდა იცოცხლოს!

მტკიცედ გვწამს, რომ ძალა ერთობაშია... მსოფლიო მედიცინა გასაოცარ შედეგებს აღწევს. მივცეთ ჩვენს ლელას საშუალება გაემგზავროს საზღვარგარეთ... იმკურნალოს, აღიდგინოს ჯანმრთელობა, აღივსოს ახალი ენერგიით, ახალი იმედებით, ახალი მისწრაფებებით...

ჯერი თქვენზეა, ჩვენო კეთილშობილო ხალხო...

დროებით დავივიწყოთ ყველა სხვა საზრუნავი. პირველ რიგში, სასწრაფოდ მივეშველოთ ახალგაზრდა სიცოცხლეს... გვამდეთ რომ ამ უკეთილშობილეს საქმეს ხედავს ღვთისმშობელი. იგი გაგვინათებს გზას და აგრეთვე ოზურგეთელ და ჩკენს სვან ძმებსაც შთაგონებს: —ნუ დაიშურებენ 1 —2 დღის ხელფასს, გულის სითბოსა და ყურადღებას საფრთხეში ჩავარდნილი ახალგაზრდა მასწავლებლის გადასარჩენად.

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს—71101 — ჩოხატაურის აგროშრეწვბანკი, ლელა ჭელიძის ანგარიში.

**გაზეთ „ჩოხატაურის“ მშრომელთა წერილების განყოფილება.**

ჩვენი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკმა ორი შვილის მარტოხელა დედამ, ცისანა ნიკოლოზის ასულმა პერანიძემ ლელა ჭელიძის დახმარების ფონდში გადარიცხა მისი სამი დღის ხელფასი.

**ძვირფასო მკითხველო**, თქვენთვის ნათელია ახალგაზრდა პედაგოგის მდგომარეობა. ბევრი საქველმოქმედო საქმის მოთავე ხართ თქვენ, ბევრი გაჭირვებულისათვის გაგიმართავთ ხელი, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ იქნებ ერთხელ კიდევ შეაშველოთ ხელი ავადმყოფ ახალგაზრდას, იქნებ გადავარჩინოთ კიდევ ერთი სიცოცხლე, იქნებ ერთი დღის ხელფასი მაინც გადავრიცხოთ ზემოთხსენებულ ანგარიშზე.

წინასწარ გიხდით მადლობას. თქვენი თანადგომის იმედი როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გვაქვს.

**გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.**

# როგორ შეხვდით ზამთარს

## კარგი განწყობა ნუ მოუშალოთ!

წიფერჩის რეგიონის მკვიდრი ბავშვები პირველ ზამთარს ხვდებიან სოფლის ბაგა-ბაღში.

მკითხველმა იცის, რომ აქ კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის შენობაში ბაგა-ბაღისთვის გამოიყო საკმაო ფართი და წიფერჩელი მშრომელების წლების ნაოცნებარი რეალობად იქცა.

ბაგა-ბაღის გახსნას მრავალი სირთულე ახლავს თან, ჩვენ ამის თაობაზე ზაფხულში გამოვაქვეყნეთ წერილი, მეტ დახმარებასა და გულისყურს ვითხოვდით პაწიების მიმართ, ბაღის ახალგაზრდა პედაგოგიური კოლექტივისთვის.

ამჯერად დავინტერესდით, როგორ შეხვდნენ ზამთარს. გაგვეხარდა, რომ ბაღის ხელმძღვანელობას ყველაფერი გაუკეთებია საამისოდ, ბაღს კი, მართალია, არ აქვს ცენტრალური გათბობა, მაგრამ შემოზიდულია 15 კუბური მეტრი შეშა. შეშა მშრალ, გადახურულ ადგილზეა დაჭრილ-დაწყობილი.

ზამთრის იმ დილას (3 დეკემბერი) ყველა ჯგუფში ენთო ცეცხლი, თბილოდა ოთახებში. ბაღის გამგემ ნანული მუშკუდიანმა გვითხრა, რომ შეშა თავისუფლად იკმარებს მთელ ზამთარს.

მოწესრიგებულია კვების ბლოკიც. ფართიც, დგამავეჯიც საკმარისია ბავშვთა მეცადინეობისა და დასვენებისთვის. ყოველდღიური საშუალო დატვირთვა 25 ბავშვია.

ისე როგორც ყველა სკოლამდელ დაწესებულებას, აქაც აწუხებთ რძითა და რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით მომარაგებაში წყვეტილობა.

ბაღში ლაღი, მხიარული განწყობილებაა, ღმერთმა ნუ მოუშალოთ ასეთი განწყობა ჩვენს პატარებს.

**გ. ჩარკვიანი.**



**რიაზანში აგროსამრეწველო კომპლექსის საკავშირო სასაქონლო ბირჟაზე, გაიმართა ვაჭრობა, რომელიც კარგ სკოლად იქცა ხალმიანი ადამიანებისათვის. ამ ბირჟის ერთ-ერთი დამფუძნებელია აგრარულ სამრეწველო კომერციული ბანკი „პრიოსკი“.**

**სურათზე: მაკლერი გ. პარკრატოვა, ინფორმაციის სამსახურის მუშაკი ე. რიჭკინა და კლიენტი აგრომრეწვის რიაზანის სარემონტო ქარხნის დირექტორი ვ. კირიუხინი აფორმებენ ხელშეკრულებას ბირჟის სამაკლერო სამსახურის მიერ საწარმოს შემდგომ მომსახურებაზე.**

60 წლის შემდეგ

# „ჭრიჭინა ფეხსაცმელები“

ამ სათაურით 1927 წლის გაზეთ „კომუნისტში“ (№4) დაიბეჭდა ლეჩხუმელი კორესპონდენტის წერილი (მაშინ რაიონული გაზეთები არ არსებობდნენ და „კომუნისტი“ ბეჭდავდა ყველა მაზრიდან მოკლე ოპერატიულ ცნობებს, მასალებს).

ლეჩხუმის მაზრის მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა ლეჩხუმ-სვანეთის სამანქანო გზის დაჩქარებული გაყვანა იყო, მაგრამ სოფლებს შორის დავა იყო გზის გაყვანის მიმართულებების შესახებ. იყო სამი ვარიანტი: 1. ნიკორისძირიდან ცაგერამდე (ნაკურალეშზე გაელით), 2. ორბელიდან ცაგერამდე მესამე—ხონიდან ცაგერამდე. მოსახლეობა ღებულობდა მონაწილეობას ამ დავაში. რაკი ამ საკითხზე ადგილზე ვერ თანხმდებიან, იქმნება სარაიონო კომისია მოდავე მხარეების წარმომადგენელთა შემადგენლობით ცენტრში გასაგზავნად. მასში შედიოდა ყველა სასოფლო თემის წარმომადგენელი. მათ შორის იყო ერთი დელეგატი ოყურეშიდან და ეს წერილიც მასზეა დაწერილი: „ლეჩხუმ-სვანეთის შარა-გზის საკითხის გადასაწყვეტად ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად ლეჩხუმის მშრომელთა დელეგაცია იგზავნებოდა. ოყურეშის მშრომელმა გლეხობამაც გამოგზავნა ერთი დელეგატი. ეს უკანასკნელი ჩავიდა ცაგერში, საიდანაც დელეგაციას გაყვებოდა, მაგრამ დახეთ საკვირველებას. ერთ ხელმძღვანელს არ მოეწონა მისი ჭრიჭინა ფეხსაცმელები. ეს ბურჟუაზიულ ფუფუნებად მიიჩნია და ოყურეშის დელეგატს ამ მიზეზით ნება არ დართეს წასულიყო თბილისში, როგორც დელეგაციის წევრი“.

მაშინ ქალამანი იყო ლეჩხუმელთა ძირითადი ფეხსაცმელი, ჭრიჭინა ფეხსაცმელები ბურჟუაზიულ ფუფუნებად ალბათ იმიტომ მიიჩნიეს, თუმცა ეს ფეხსაცმელი შეიძლება დელეგატს ნათხოვლიც თუ ჰქონდა. ეს წესი ლეჩხუმში გაბატონებული იყო, ნათხოვლი ჩოხა-ახალუხით ცოლი მოჰყავდათ...

სანამ ცენტრი გზატკეცილის რომელიმე ვარიანტს დაამტკიცებდა, მანამ, 1926 წელს დაიწყო მოსახლეობის თვით ინიციატივით, თავიანთი სახსრებითა და სამუშაო ძალით გზების დაჩქარებული გაყვანა. ნიკორისძირი ნაკურალეში—ცაგერის მიმართულებით, მეორე ღვირიშისღელე—უცხერი—ცაგერის მიმართულებით. პირველი მიმართულებით გაყვანილი იქნა 4, ხოლო მეორე მიმართულებით 6 ვერსი გზა. ამ მეორე გზის შესახებ ამავე წლის 1 აპრილს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ამას წინათ 15 სოფლის მცხოვრებლები შეკავშირდნენ და საკუთარი ძალით დაიწყეს ღვირიშიდან ცაგერის მიმართულებით გზატკეცილის გაყვანა. მეორე თვეა ამ გზაზე ყოველდღე მუშაობს 400-700 კაცი, დაახლოებით 6 ვერსია გაკეთებული. ასაფეთქებელი მასალა არ აქვთ“.

მკითხველმა ალბათ იცის ღვირიშის უზარმაზარი პიტალო კლდეები, რომელზედაც ბიჭები თოკით ჩამოკიდებულები მუშაობდნენ რკინის ძალაყინით. ასე დიდი იყო სურვილი სამანქანოგზის გაყვანისა.

ცენტრმა კი — ორბელი-ცაგერის მიმართულება დაამტკიცა და ეს გზა დაჩქარებით იქნა გაყვანილი. პირველი მანქანაც 1927 წლის 31 ივლისს შევიდა ცაგერში. ეს დღე იყო მრავალათასიანი ლეჩხუმელ მომიტინგეთა დიდი ზეიმი., ადამიანებმა, რომლებიც დღეს ამ გზებზე დადიან, უნდა იცოდნენ ჩვენი წინაპრების თავდადებული გმირობა ლეჩხუმში სამანქანო გზის გაყვანის საქმეში, გამიზნული მომავალი თაობების ბედნიერი ცხოვრებისათვის.

და ბოლოს საინტერესოა ვიცოდეთ ვინ იყო, ეს ჭრიჭინა ფეხსაცმელებიანი დელეგატი, რა ბედი ეწია მას შემდგომში, განკულაკებასა“ ან რეპრესიებში ხომ არ მოჰყვა?

ჯ. სალინაძე.

**სოფო გვიშიანს**
**სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**შოთა, კახა ჩხეტიანები, ვარლამ გოლეთიანი ოჯახებით.**

**სოფო აკაკის ასულ გვიშიანს**
**სოსო რუბენის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

**დათო, ლელა, ნატო გიორბელიძეები.**

**დარეჯან გრიშას ასულ მუშკუდიანს**
**ჯონი რუბენის ძე ჯიქიას**

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის თანამგზავრი. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

**ციცო სადილიანი, ლია მუშკუდიანი, მანანა გოგიძე, ლია მუშკუდიანი, ლია გუგავა, ინგა თოთაძე, ლეილა კვირკაშვილი, დალი მურცხვალაძე, ნატო ჭაბუკიანი, მედიკო ნემსაძე, აზა ირემაძე, მარინე ბენდელიანი, მანანა საღინაძე.**

**სოფო გვიშიანს**
**სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, იხარეთ, იბედნიერეთ, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე.

**ფაფალა მურცხვალაძე, მალედი ბენდელიანი, დოდო დოლაბერიძე, ლილი კვირკაშვილი, ლილი კოპალიანი, ნორა გუგავა ოჯახებით.**




**გუგული, როგერტ ასათიანებს**
**თამარ, აკაკი მოწონელიძეებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს პირველი შვილიშვილი თქვენთვის.

**როზეტა ქვარიანი, ნონა, ნარგიზა ასათიანები, მერი ყურაშვილი, სვეტლანა ნემსწვერიძე.**


## მსოფლიოს ქალაქებში

### ყველაზე სუფთა ჰაერი

**სტოკჰოლმი.** ევროპულ დედაქალაქთა შორის სტოკჰოლმი ყველაზე სუფთა ჰაერიანი ქალაქია, იუწყება ეკოლოგიის საკითხების პრესბიულეტენი „მილერაპორტენი“. იგი აქვეყნებს უკანასკნელი კვლევის შედეგებს, რომლებიც მიძღვნილია კონტინენტის ქვეყნების დედაქალაქების გარემოს მდგომარეობისადმი.

როგორც პუბლიკაცია ამტკიცებს, კარგად ზრუნავენ ეკოლოგიურ სიტუაციაზე კოპენჰაგენსა და ამსტერდამში.

ბიულეტენის მტკიცებით, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო ლისაბონსა და ბელგრადში. ცხრილში, რომელიც პუბლიკაციაშია მოყვანილი, ისინი ბოლო ადგილზე იმყოფებიან.

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ცაგერის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგობრივი გაერთიანების დირექცია გაფრთხილებთ, რომ თუ დაჭერილი პირუტყვის პატრონი არ გამოცხადდება კომბინატში ჯარიმის გადასახდელად, მისი პირუტყვი გაყვანილ იქნება ქალაქის ტერიტორიიდან.


**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**


მეუღლე ქუქუნა, შვილი ნაილი, და ლიდა, ძმები გერონტი, შოთა, რძლები თამარ, მანანა, ნინა, სიდედრი გალინე, ცოლისდა ია, ცოლისძმა ჯოკია შკუბულიანები, სიძეები გენური კვირკაშვილი, მურთაზ ახვლედიანი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ (ჭიჭიკო) ოქროპირის ძე ცვარიანი**

დაკრძალვა 13 დეკემბერს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში

---

ბესო ქომეთიანი, ზურაბ მამარდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ ოქროპირის ძე ცვარიანი**

---

რაიონის საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ხვადაგიანს დეიდის

**ელენტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს იზა და გია ბურჯალიანებს ბაბუის

**გრიგოლ ლეშკაშელს**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე საშა, შვილები მინაგო, გიული, ჯეირან, ედემი, რძლები ქენია ომანაძე, ციცინო ბენდელიანი, ფატი მანდარია, და სარა, ცოლისძმა, ცოლისდა, შვილიშვილები, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალერიან ერასტის ძე დავითულიანი.**

დაკრძალვა 13 დეკემბერს, ხუთშაბათს სოფ. ზუბში.

---

სპორტსკოლის, ფიზკულტურის კომიტეტის და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯოკია შკუბულიანს სიძის

**გრიშა ცვარიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები: ავთო ჩიქოვანი, გენური კვირკაშვილი, ანდრო კოპალიანი, რამაზ შკუბულიანი, მურთაზ ღურჭუმალიძე, გია დავითულიანი, გულვერ საღინაძე, როინ ლიპარტელიანი, ომარ ჭაბუკიანი, რომან გვიდიანი, ზაურ კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ ოქროპირის ძე ცვარიანი**

---

სტატისტიკის რაიგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განყოფილების ყოფილი ეკონომისტი

**გრიგოლ ცვარიანი.**

---

ჯოკია, ბადრი შკუბულიანები, ზაზა ნემსაძე ოჯახებით იუწყებიან

**გრიშა ოქროპირის ძე ცვარიანის**

გარდაცვალებას.

---

კარლო, ჯემალ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან

**ჭიჭიკო ცვარიანის**

გარდაცვალებას.

---

ციცო, ანზორ ტვილდიანები თანაუგრძნობენ ქუქუნა, ნანა ცვარიანებს მეუღლისა და მამის

**გრიგოლ (ჭიჭიკო) ცვარიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქუქუნა და გულო ცვარიანებს მეუღლისა და ბიძის

**ჭიჭიკო ცვარიანის**

გარდაცვალების გამო.


ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.